TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

დაიჯესტი

30 ნოემბერი - 4 დეკემბერი

2020

ამერიკის შეერთბული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატების დესპანმა, რომელიც ავღანეთში თალიბანთან მოლაპარაკებებს აკვირდებოდა განაცხადა, რომ სამ-თვიანი მოლაპარაკებების შემდეგ მხარეებმა ჩამოაყალიბეს მოლაპარაკებათა პროცედურები და წესები. ეს ყოველივე მნიშვნელოვანია, რადგან მხარეები მიუახლოვდნენ რეალური მოლაპარაკებების დაწყებას, რამაც შეიძლება დაპირისპირების ათწლეულებს დაუსვას წერტილი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ტერორიზმის, კოვიდ-19 გავრცელებისა და კრიმინალის მაღალი ინტენსივობის გამო ბურკინა ფასოში მოგზაურობას ზღუდავს. სახელმწიფო დეპარტამენტის გაფრთხილებაში წერია, რომ ტერორისტული თავდასხმები შეიძლება მოხდეს ნებისმიერ ადგილას, გაფრთხილების გარეშე. აღსანიშნავია, რომ 21 ნოემბერს უაგადუგუში ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე მოკლეს.

ვაშინგტონში, ორი ქალი ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს. 27 წლის სამანტა ფრანსის ბრუქსს და 23 წლის ელი ბრენან რეიქს რკინიგზაზე მოწყობილობის დამონტაჟება ედებათ ბრალად. მოწყობილობა მატარებლების გზის არევის მიზნით დამონტაჟდა, რაც სერიოზულ პრობლემებს გამოიწვევდა. უმეტეს შემთხვევებში მოწყობილობები ისე იყო დამონტაჟებული, რომ მატარებლებს საპირისპიროდ მომავალი მატარებლების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონოდათ.

დიდი ბრიტანეთი

ბრიტანელი კონტრ-ტერორისტული ოფიცრების განცხადებით, კოვიდ-19 კრიზისის გამო ბავშვებს ხშირი შეხება აქვთ ინტერნეტ სივრცესთან, რაც მათ რადიკალიზაციისადმი მეტად მოწყვლად ჯგუფად აქცევს. მათი განცხადებით პოლიციას ამ თემაზე მუშაობა უწევს 13 წლის ასაკის ბავშვებთანაც კი.

ბირმინგემში 38 წლის ქალი ტერორისტული პროპაგანდის გავრცელებისთვის დააკავეს. ამინა ამათულა კონტრ-ტერორისტული გამოძიების ფარგლებში დააკავეს.

პარასკევს, ბერნლიში ორი ადამიანი დაჭრეს. ინციდენტს ოფიციალურად ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია არ აქვს, მაგრამ კონტრ-ტერორისტულმა პოლიციამ გამოძიება დაიწყო. ცნობილია, რომ შემთხვევის ადგილას ანტი-სემიტური კომენტარები ისმოდა, რაც ეჭვს ბადებს. დაკავებულია 57 წლის მამაკაცი.

ულტრა-მემარჯვენე ექსტრემისტი, ბენ ჯონი სასამართლოს წინაშე წარსდგა. მას ბრალად ტერორიზმისათვის გამოსადეგი დოკუმენტების და სახლში დამზადებული ასაფეთქებელი საშუალებებისა და იარაღის ფლობა ედება. ჯონს პროცესზე საკუთარი სახელის გარდა არაფერი უთქვამს.

იტალია

ბოლონიის ფინანსურმა პოლიციამ 2 ადამიანს ტერორიზმის დაფინანსების ბრალი წარუდგინა. ტუნისის მოქალაქეებს „საერთო მოქალაქეობის გასამრჯელოს“ ტერორისტი მებრძოლის დასაფინანსებლად გამოყენება ედებათ ბრალად. მებრძოლი ძებნილია ბელგიის მთავრობის მიერ, ბოლოს კი ტუნისში, აპრილში დაფიქსირდა.

საფრანგეთი

საფრანგეთის განათლების მინისტრის განცხადებამ ფრანგ აკადემიკოსებში შიში დაამკვიდრა. მინისტრმა უნივერსიტეტები დაადანაშაულა ისლამური ტერორიზმის განვითარებისთვის სასათბურე პირობების შექმნაში. აკადემიკოსებს არ სურთ ტერორიზმზე ბრძოლაში განტევების ვაცის როლის მორგება, რისი საშიშროებაც მათ

მინისტრის განცხადების შემდეგ დაინახეს. გასათვალისწინებელია, რომ ეს მთავრობის პოზიცია არ არის.

საფრანგეთის მთავრობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ უპრეცედენტო და მასიურ ზომებს იღებს. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ჟერალდ დერმანინმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება 76 მეჩეთის შემოწმება.

ბელგია

ბელგიის სასამართლომ ასადოლა ასადს, ირანელ დიპლომატს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა ტერორისტული აქტის დაგეგმვისთვის. ბელგიის პროკურატურამ ასადოლა ასადს და 3 სხვა ადამიანს პარიზში ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვისთვის უჩივლა. ბელგიის საგამოძიებო უწყებების განცხადებით, ირანელმა დიპლომატმა 2018 წელს დაგეგმილი ტერორისტული აქტის განხორციელებისათვის ნახევარ კილოგრამამდე ფეთქებადი ნივთიერება ჩაიტანა ბელგიაში კომერციული რეისის საშუალებით. ირანი ამ ბრალდებებს უარყოფდა.

ავსტრალია

ქვინსლენდის კონტრ-ტერორისტული გუნდის გამოძების შედეგად 29 წლის მამაკაცი ტერორისტული აქტების დაგეგმვისთვის დააკავეს. კაცი ტერორისტულ თავდასხმებს გეგმავდა ბუნდაბერგში და ამისთვის ცეცხლსასროლი იარაღის მოხმარებას სწავლობდა. მას მაქსიმალური სასჯელი, სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

ტერორისტი პატიმარი, აბდულ ნასერ ბენბრიკა, რომელიც პატიმრობაში ავსტრალიის უდიდესი ტერორისტული ქსელის მეთაურობისთვის იმყოფება არ წყვეტს კონტაქტს ციხის გარეთ მყოფ ტერორისტებთან. ბენბრიკამ უკვე 15 წელი გაატარა გისოსებს მიღმა, მაგრამ მის ციხის სტუმრებს შორის აღინიშნებიან ადამიანები, რომლებიც

ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის მებრძოლები გახდნენ. მთავრობის წარმომადგენელი იურისტის განცხადებით ბენბრიკა ტერორისტული თავდასხმების განხორციელების დიდ რისკს კვლავ წარმოადგენს.

ნიგერია

ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამის მებრძოლებმა ნიგერიაში 110 ფერმერი მოკლეს. ბოკო ჰარამის ისლამისტები ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ბრინჯის ფერმერებს დაესხნენ თავს. მომხდარზე ცნობებს გაერო ავრცელებს.

ავღანეთი

გამოცემა Reuters-ის განცხადებით, მოლაპარაკებები ტერორისტულ ორგანიზაცია, თალიბანსა, და ავღანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ჩიხში შევიდა მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების პრეამბულაში ავღანეთის ხელისუფლება სახელით იქნა მოხსენიებული. ექსპერტთა მოსაზრებით, შესაძლებელია საფრთხის ქვეშ დადგეს მთლიანად მოლაპარაკების პროცესი.

საერთაშორისო საზოგადოებამ შეშფოთება და დაინტერესება გამოხატა ავღანეთში ტერორისტული ორგანიზაციების აქტივობით გამოწვეულ საფრთხეებთან დაკავშირებით. მათ თქვეს, რომ ავღანეთის ტერიტორიაზე არ უნდა ოპერირებდეს თალიბანი, ალ-კაიდა, დაეში და სხვა ტერორისტული დაჯგუფებები. აუცილებელია საერთაშორისო საზოგადოებამ იმუშაოს ამ საკითხზე.

ირანი

გამოცემა Associated Press ცნობით, მოკლეს ირანელი მეცნიერი, მოჰსენ ფახრიზადეჰი, რომელსაც ისრაელი ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის სამხედრო ბირთვული პროგრამის მეთაურად მოიაზრებდა. მომხდარზე კომენტარი გააკეთა ჯონ ო. ბრენანმა,

ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს ყოფილმა დირექტორმა. ბრენანმა ხაზი გაუსვა რეგიონში ახალი კონფლიქტის ტალღის დაწყების რისკს. მან თქვა, რომ არ იცის მკვლელობა განხორციელდა თუ არა რომელიმე ქვეყნის მთავრობის დაკვეთით, მაგრამ ასეთი შემთხვევა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ტერორიზმი და საერთაშორისო სამართლის მკვეთრი დარღვევა იქნებოდა. ამბავს გამოეხმაურა თურქეთის პარლამენტის სპიკერი, მუსტაფა სენტოფი. მან თქვა, რომ მომხდარი ტერორისტული აქტია და არ აქვს მნიშვნელობა ეს განახორციელა ლეგალურმა ან არალეგალურმა ორგანიზაციამ თუ სახელმწიფომ. კომენტარი გააკეთა სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც, განცხადებაში აღინიშნა, რომ სომხეთი გმობს ტერორიზმს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

მომხდარზე კომენტარი გააკეთა ჰეზბოლამ. მათ განაცხადეს, რომ ისინი დგანან ირანის მხარეს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და მომხდარი ისრაელის მიერ განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმად განიხილეს.

ინდოეთი

ოთხშაბათს, გაეროს გენერალური ასამბლეის კულტურისა და მშვიდობის სესიაზე ინდოეთმა განაცხადა, რომ პაკისტანმა უნდა შეწყვიტოს „სიძულვილის კულტურის“ გავრცელება ინდოეთში რელიგიების მიმართ და შეწყვიტოს ტერორიზმის მხარდაჭერა. მათი თქმით ეს აუცილებელია სამხრეთ აზიაში მშვიდობის დასამყარებლად.

პაკისტანი

პაკისტანის სასამართლომ ჯაამათ-უდ-დავას (JuD) ლიდერებს ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერისთვის პატიმრობა შეუფარდა. ჯაამათ-უდ-დავა ჰუმანიტარული, რელიგიური საგანმანათლებლო ორგანიზაციაა, რომელიც შეიარაღებული დაჯგუფება ლაშქარ-ე-თაიბას ნაწილად ითვლება. დაკავებულთა

შორის არიანორგანიზაციის დეპუტატი, აბდულ რეჰმან მაკი და ფანდრეიზინგის მეთაური ზაფარ იქბალი.

კენია

ტერორისტული ორგანიზცია ალ-შაბაბის მებრძოლები გარისაში პოლიციის ბაზას დაესხნენ თავს. განადგურებულია პოლიციის აღჭურვილობა და დაშავებულია 9 პოლიციელი.

სომალი

2020 წლის 30 ნოემბერს, ორშაბათს, მუდუგის რეგიონში არსებულ სომალის ეროვნული არმიის სამხედრო ბაზაზე ტერორისტული ორგანიზაციის, ალ-შაბააბის, მიერ შიეარაღებული თავდასხმა განხორციელდა. თავდასხმის შემდეგ, ალ-შაბააბმა გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ქალაქ ბელედუეინის აღებას ზეიმობენ.

გავრცელებული ინფორმაციით 6 ნოემბერს, ალ-შაბაბის მიერ განხორციელებულ თავდასხმას ამერიკელი სამხედრო ემსხვერპლა. ოფიცერი ამერიკული მისიის მონაწილე იყო და მოგადიშუსთან ახლოს, სოფელ გენდერშეში იმყოფებოდა, ის ალ-შაბაბის მიერ აფეთქებულ მანქანის ჭურვს შეეწირა.

თურქეთი

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში 12 პირი ტერორიზმის ბრალდებით დააკავეს, დაკავებულთა შორის ქურთი ბიზნესმენებიც არიან. დაკავებულებს ბრალად ტერორიზმის ფინანსური მხარდაჭერა ედებათ. ბრალდების განცხადებით მათ ფინანსური მხარდაჭერა გაუწიეს ქურთისტანის მუშათა პარტიას (PKK).

ანკარაში ერაყის მოქალაქე 20 ადამიანი დააკავეს ტერორისტულ ორგანიზაცია დაეშთან თანამშრომლობისთვის. ამ თვეში თურქეთის უსაფრთხოების ძალებმა 294 ადამიანი დააკავეს დაეშთან კავშირის ბრალდებით და თავიდან აირიდეს ტერორისტული თავდასხმები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მოზამბიკი

სამხრეთ აფრიკის ლიდერები მოზამბიკში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის მიერ წარმოქმნილი საფრთხის სარეაქციო ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესში არიან. მოზამბიკში ტერორისტული ორგანიზაცია დაეშის მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად 450 000 იძულებით გადაადგილებული პირია, 2 000 კი ამ ტავდასხმებს შეეწირა.

ბოტსვანა

ბოტსვანის პრეზიდენტის, მოკგუეტსი მასისის, მიერ გავრცელებულ განცხადებაში ყურადღება გამახვილდა ინტეგრირებულ კოოპერაციაზე აფრიკის სამხრეთ რეგიონში ტერორიზმის კუთხით არსებული საფრთხეების წინააღმდეგ.